

საუნივერსიტეტო უწყვეტი განათლების სასერტიფიკატო კურსი

კურსის სახელწოდება: Adobe InDesign CS5/CS6

კურსის მოცულობა: 18 საათი

კურსის განხორციელებაში მონაწილე მასწავლებელი: ლელა მათურაძე

კურსის სამიზნე ჯგუფის აღწერა: კურსი განკუთვნილია ნებისმიერი მსმენელისათვის, რომელსაც სურს ათვისოს პროგრამა **Adobe InDesign CS5/CS6** და გამოიმუშაოს აღნიშნულ პროგრამაში მუშაობის უნარები.

კურსში ჩართვის წინაპირობა მსმენელთათვის:

მსმენელს უნდა გააჩნდეს ინფორმაციულ ტექნოლოგიებში საბაზო კომპეტენციები. გამომუშავებული უნდა ჰქონდეს კომპიუტერული უნარ-ჩვევები მომხმარებლის დონეზე და შეეძლოს ელემენტარული ტექნიკური პრობლემების გამოსწორება ოპერაციულ სისტემა MS Windows-ის საბაზო ცოდნით.

კურსის მიზნები და მოსალოდნელი შედეგები:

სასწავლო კურსის მიზანია მსმენელს შეასწავლოს Adobe InDesign - დაკაბადონების პროგრამის შესაძლებლობები; საგამომცემლო პროგრამებთან მუშაობის მეთოდები და ძირითადი პოლიგრაფიული საკითხები; წიგნების, ბუკლეტების, ფლაერების, საგაზეთო მაკეტების, ჟურნალ-გაზეთების, სავიზიტო ბარათების და სხვ. პოლიგრაფიული ნაწარმის დიზაინის შემუშავება, დაკაბადონება და შემდგომ დასაბეჭდად მომზადება.

მონაწილეთა შეფასების სიტემა:

შეფასება მოხდება ნამუშევრების (პორტფოლიოს) წარმოდგენის შედეგად.

სერტიფიკატის მინიჭების მოთხოვნები:

კურსის წარმატებულად გავლის შედეგად მსმენელი მიიღებს სერტიფიკატს.

კურსის სტრუქტურა და შინაარსი:

#	სესიების თემები	საათების რაოდენობა თითოეული სესიისათვის	ლიტერატურა
1	<p>ინდივიდუალური შესავალი სახე: საგამომცემლო სისტემების საჭიროება; სისტემური მოთხოვნები, პროგრამის დაყენება და პროგრამის სიახლეები; სამუშაო პარამეტრების გამართვა Preference ჩანართი; სამუშაო სივრცის ორგანიზება; მთავარი მენიუ; პალიტრების გამოძახების პუნქტი Window; პალიტრების განლაგება და განცალკევება მიმაგრებისაგან; ინსტრუმენტების განხილვა და მათი დამატებითი პარამეტრები; ახალი დოკუმენტის შექმნა: დოკუმენტის ფანჯარა, დოკუმენტის მინდვრის პარამეტრები, ორიენტაცია და ზომა; შექმნილი დოკუმენტის პარამეტრების რედაქტირება, დოკუმენტის გახსნა და შენახვა; სამუშაო დოკუმენტის ასლის შექმნა და შენახვა; დოკუმენტის ჩამოსაჭრელი ველები Bleed; პოლიგრაფიული სტანდარტული ზომების განხილვა;</p>	1,5 სთ	თეორიული სალექციო კურსის ელექტრონული ვერსია.
2	<p>პუბლიკაციის მაკეტის ორგანიზება: მიმართულების მაჩვენებელი ხაზების ე.წ. ბადეების შექმნა; დოკუმენტში გვერდების ჩამატება, გადაადგილება და წაშლა; დოკუმენტების გვერდების კოპირება; დოკუმენტის მრავალგვერდიანი განშლა; პალიტრა Page; პალიტრა Navigator; სიმბოლოების და აბზაცების ფორმატირება: ფონტის სახეობები, მოხაზულობა, გაზრდილი ზომის სიმბოლო, დაშორებების დაყენება, ფონტის ზომისა და ინტერვალის დაყენება; პოლიგრაფიული ზომის ერთეულები; პარაგრაფის სიმბოლოები და არაბეჭდვადი სიმბოლოების დაყენება; აბზაცების გამოყოფა და სტანდარტული პარამეტრების დაყენება; აბზაცების ფორმატირება ხელით მართვის რეჟიმში; სიტყვის გადატანის პარამეტრები;</p>	1,5 სთ	თეორიული სალექციო კურსის ელექტრონული ვერსია.

	ტაბულატორის დაყენება; ტექსტის გათანაბრების რეჟიმები; ჩამონათვალის შედგენა მარტივიდან რთულისკენ (Bullets and number list);		
3	ტექსტთან მუშაობის რეჟიმები: ტექსტის ჩარჩოს შიგთავსი და კონტური; ჩარჩოს ელემენტები; ტექსტისა და ჩარჩოს ტრანსფორმირება; ტექსტის იმპორტირება Microsoft Word-დან; დიალოგის ფანჯარა Place და ტექსტის იმპორტირების პარამეტრები; ტექსტის იმპორტირება TXT ფორმატში; ტექსტის ჩასმა ბუფერის გაცვლის დახმარებით; ფაილების დაკავშირება; ტექსტის ექსპორტირება; დაკავშირებული ჩარჩოების შექმნა და გამოსახვა; ცალკეული, დაუკავშირებელი ტექსტის ჩარჩოების დაკავშირება; ტექსტის ჩამატება და წაშლა; დაკავშირებულ ჩარჩოებს შორის კავშირის გაწყვეტა; ტექსტური ჩარჩოების კოპირება; ტექსტის მოძიება და ჩანაცვლება; სპეციალური და არაბეჭდვადი სიმბოლოების მოძიება და ჩანაცვლება;	1,5 სთ	თეორიული სალექციო კურსის ელექტრონული ვერსია.
4	სტანდარტული ფიგურების და კონტურის შექმნა: გეომეტრიული ფიგურების შექმნა და ობიექტების შექმნის ხელსაწყოები (სწორკუთხედი, მრავალკუთხედი, ვარსკვლავი); კონტური და ჩარჩო; გრაფიკული ჩარჩოების შექმნა; ვექტორული ობიექტების შექმნა; ვექტორული კონტურის ელემენტები; საყრდენი წერტილები და სეგმენტები; საყრდენი წერტილების და სეგმენტების რედაქტირების და მონიშვნის ხელსაწყოები; კონტურთან მუშაობა და კონტურის შექმნის ინსტრუმენტები Pen Tool, Pencil, Smooth, Erase; ტექსტში ვექტორული ობიექტების განთავსება; კონტურზე ტექსტის შემოწერა; ტექსტის ჩასმა კონტურის შიგნით; ტექსტის გარდაქმნა მრუდის ფორმაში;	1,5 სთ	თეორიული სალექციო კურსის ელექტრონული ვერსია.
5	ობიექტების და ტექსტის განლაგება და მათი ტრანსმორმაციის რეჟიმები: სტანდარტული ობიექტების და ტექსტის განლაგება-გამოყოფა; ობიექტების დაჯგუფება; ობიექტის ტრანსფორმაციის ხელსაწყოები; ტექსტის, გრაფიკული შიგთავსისა და ჩარჩოს ტრანსფორმაცია; ტრანსფორმაციის რეჟიმი პალიტრა Control-ის საშუალებით; ჩარჩოსა და გამოსახულების ტრანსფორმაციის რეჟიმი პალიტრა Transform-ის საშუალებით;	1,5 სთ	თეორიული სალექციო კურსის ელექტრონული ვერსია.

6	<p>ფერებთან მუშაობის რეჟიმი: ფერების მოდელები: RGB; CMYK; LAB; HSB; Grayscale. პალიტრა Color-ის გამოყენება; პალიტრა Swatches-გამოყენება; ობიექტებისთვის ფერის მინიჭება ფერის შექმნა, ჩამატება, რედაქტირება და წაშლა; ფერების კატალოგის ექსპორტირება; გრადიენტის ხელსაწყო; გრადიენტის შექმნა, ფერების ჩამატება და რედაქტირება; RGB და CMYK ფერების მოდელების კონვერტირება;</p>	1,5 სთ	თეორიული სალექციო კურსის ელექტრონული ვერსია.
7	<p>გრაფიკული ფაილების ფორმატები: ფორმატები: Tiff; Jpeg; Eps; Png; Psd; Pdf. ვექტორული პროგრამები და მათი ფორმატები; სხვადასხვა ტიპის გრაფიკული ფორმატის გამოსახულებების შემოტანა ბრძანება Place-ს საშუალებით; შემოტანილი გრაფიკული გამოსახულებების ფორმატირების ბრძანებები; ობიექტისთვის ნიღბების დამატება და ველის ჩამოსაშლელი კონტურები (Clipping Path); ვექტორული კონტურების შენახვა Illustrator-ისთვის;</p>	1,5 სთ	თეორიული სალექციო კურსის ელექტრონული ვერსია.
8	<p>გვერდი ოსტატი (Master): ძირითადი დოკუმენტის გვერდი ოსტატი; გვერდ ოსტატის შექმნა, შექმნილი გვერდ ოსტატის რედაქტირება; დამატებითი გვერდ ოსტატის შექმნა და წაშლა; გვერდ ოსტატის იერარქია; გვერდ ოსტატის იმპორტირება; დოკუმენტის ავტომატური ნუმერაცია, მისი დამატებითი პარამეტრების გამოძახება და რედაქტირება; კოლონტიტულების შექმნა;</p>	1,5 სთ	თეორიული სალექციო კურსის ელექტრონული ვერსია.
9	<p>ეფექტები: გრაფიკული ობიექტების დამატება ბიბლიოთეკაში და მათი გამოყენება; პალიტრა Effect; ფერის დადების რეჟიმი; გადაფარვის არეს იზოლაცია და ამოჭრა ჯგუფში; გაბნევის ეფექტი; ჩრდილის ეფექტები; ობიექტის გამჭვირვალობა; იმპორტირებული ობიექტებისთვის გამჭვირვალობის შეცვლა; სტილებთან მუშაობა: აბზაცის და სიმბოლოს სტილები; სიმბოლოების სტილის შექმნა და მინიჭება; ტექსტის მოდელზე სიმბოლოების სტილის შექმნა; აბზაცის სტილის შექმნა და მინიჭება; სტილების რედაქტირება; სტილების დუბლირება; სტილების იერარქია; სტილების იმპორტირება, წაშლა და ჩანაცვლება;</p>	1,5 სთ	თეორიული სალექციო კურსის ელექტრონული ვერსია.

10	<p>ცხრილების შექმნა: ბრძანების მენიუ Table; ცხრილის შექმნა, და რედაქტირება; პარამეტრების ფანჯარა; ცხრილის გაფორმება; ცხრილის გარდაქმნა ტექსტად და პირიქით; ცხრილის სტილების შექმნა; ცხრილის იმპორტირება Microsoft Word-დან და Exel-დან; დაკავშირებული ფაილები: ბმულები Indesign – ში; დაკავშირებულ ფაილებში ცვლილებების შეტანის სიმარტივე; ფაილების დაკავშირების მეთოდები; პალიტრა Links; კავშირების განახლება;</p>	1,5 სთ	თეორიული სალექციო კურსის ელექტრონული ვერსია.
11	<p>მრავალგვერდიანი პუბლიკაციების ელემენტები: სარეკლამო სტატიის და ბუკლეტის დაკაბადონების მაგალითები; ერთფურცლიანი და ორსვეტიანი სარეკლამო სტატიის განლაგება; სქოლიოების შექმნა და რედაქტირების ფანჯარა; პალიტრა Book (ფაილების გაერთიანება); პალიტრა layer (ფენებთან მუშაობა); ფენის ატრიბუტები; ფენების შექმნა, რედაქტირება და გაერთიანება; ფენების იერარქია; სარჩევის შექმნა; საგნობრივი საძიებლის შექმნა;</p>	1,5 სთ	თეორიული სალექციო კურსის ელექტრონული ვერსია.
12	<p>ფერის გამოსახულების მართვა: RGB და CMYC-ის სამუშაო სივრცე; დოკუმენტის დასაბეჭდად მომზადება: ბრძანება Package, print setting; პოლიგრაფიული პროცესის საფუძვლები; დოკუმენტის ექსპორტირება: Pdf- ფაილის შექმნა;</p>	1,5 სთ	თეორიული სალექციო კურსის ელექტრონული ვერსია.

კურსის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსები:

პერსონალური კომპიუტერებითა და ვიდეო პროექტორით აღჭურვილი ლაბორატორია.